



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
გენერალური აუდიტორის ბრძანება



№ 007933/21

20/09/2019

**„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის აუდიტორული საქმიანობის
წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური
აუდიტორის 2018 წლის 31 დეკემბრის №119676/21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის №14/37 ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2018 წლის 31 დეკემბრის №119676/21 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 2019 წლის 20 სექტემბრის №7924/30 ოქმი.

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

2019

აუდიტორული საქმიანობის 2019 წლის გეგმა

დეკემბერი, 2018

სარჩევი

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა	2
1. შეჯამება	2
2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი	3
ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა	4
1. ფინანსური აუდიტები	4
2. უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტები	6
3. შესაბამისობის თემატური აუდიტები	6
4. ეფექტიანობის აუდიტები	6

ნაწილი 1. ზოგადი მიმოხილვა

1. შეჯამება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად, 2019 წლის აუდიტორული გეგმა განსაზღვრა **86 აუდიტით**¹, რომლითაც **დაიფარება ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 88.7%**. 2018 წელთან შედარებით, 3.7 პროცენტული პუნქტით იზრდება ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი. აუდიტების რაოდენობა მცირდება 4 აუდიტით.

გეგმის მაჩვენებლები	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
აუდიტების რაოდენობა	90	86
დაფარვის მაჩვენებელი (თანხობრივი)	11,001,000,000	12,211,130,000
დაფარვის მაჩვენებელი (პროცენტი)	85%	88.7%

აუდიტების განაწილება აუდიტის სახეობის მიხედვით შემდეგნაირია:

რაოდენობა აუდიტის სახეობების მიხედვით	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
ფინანსური აუდიტი	25	16
შესაბამისობის აუდიტი	53	46
ეფექტიანობის აუდიტი	12	24

2018 წელთან შედარებით მცირდება ფინანსური აუდიტების რაოდენობა, თუმცა იზრდება ფინანსური აუდიტებით თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი. რაოდენობის შემცირება გამოწვეულია მთავრობის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებებით (სამინისტროების გაერთიანებით). ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში, ინდივიდუალური უწყებების ფინანსური აუდიტის ნაცვლად ჩატარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი.

გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის ექსპერტების მიერ SAI-PMF-ის² შეფასების მიხედვით მიღებული რეკომენდაციები, რის შედეგადაც, 2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო სისტემური აუდიტების განხორციელება. 2019 წლის გეგმით განხორციელდება სამი სისტემური შესაბამისობის აუდიტი.

2018 წელთან შედარებით იზრდება ეფექტიანობის აუდიტის როგორც რაოდენობა (12-დან 24-მდე), ასევე წილი – მთლიან აუდიტორულ გეგმაში (13%-დან 28%-მდე).

აღსანიშნავია, რომ წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მომართვები. 2017-2018 წლებში მიღებული 49 მომართვიდან 13 მომართვა გათვალისწინებულ იქნა 2018 წლის, ხოლო 10 – 2019 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში.

¹ 5 აუდიტი წარმოადგენს გარდამავალი ტიპის აუდიტს, რომლებიც დამთავრდება 2020 წელს.

² უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საქმიანობის შეფასების ჩარჩო, რომლის მიხედვით, სას-ის საქმიანობა შეფასდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებთან (ISSAIs) მიმართებით.

სამსახურის 2018-2022 წლების განვითარების სტრატეგიით განსაზღვრულია აუდიტის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის (MKinsight) გამოყენებით ჩატარებული აუდიტების ეტაპობრივი ზრდა. აღნიშნული სისტემის დანერგვა საშუალებას მისცემს აუდიტის სამსახურს, ცენტრალიზებულად მართოს აუდიტთან დაკავშირებული საქმიანობა, ინფორმაცია და პროცესები. 2018 წელს სისტემის დახმარებით განხორციელდა და მიმდინარეობს 57 აუდიტი, 2019 წელს კი იგეგმება ყველა აუდიტის ჩატარება აუდიტის მართვის სისტემის საშუალებით.

2. აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც განისაზღვრება ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმის და აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტების მიხედვით. გეგმის მიზანია, სამსახურის აუდიტორული საქმიანობა ორიენტირებული გახადოს საჯარო ფინანსების მნიშვნელოვან საკითხებზე და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის არსებული რესურსების სწორ განაწილებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესში ეყრდნობა აუდიტების შერჩევის რისკებზე დაფუძნებული მიდგომის კრიტერიუმებს³. გარდა ამისა, აუდიტის სამსახური ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებიდან მიღებულ მოსაზრებებსა და ინიციატივებს. დაგეგმვის პროცესში სამსახური ხელმძღვანელობს აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის რისკებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე უწყების/პროგრამის მნიშვნელობის ზეგავლენასა და გამოვლენილი რისკების რეალიზების ალბათობას.



³ ძირითადი კრიტერიუმებია:

- მხარჯავი უწყებების/პროგრამის ასიგნებების წილი მთლიან საბიუჯეტო ასიგნებებში;
- ძირითად დაინტერესებულ მხარეთა ინტერესი;
- ზედამხედველობის რისკი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ არ ჩატარებულ აუდიტი 2 ან მეტი ფისკალური წლის განმავლობაში);
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობა;
- ინსტიტუციური შეფასების საფუძველზე გამოვლენილი მაღალრისკიანობა;
- მხარჯავ უწყებაში/პროგრამის ფარგლებში მიმდინარე რეფორმები ან ცვლილებები;
- გარე წყაროების მიერ გამოვლენილი მნიშვნელოვანი მართვის პრობლემები.

ნაწილი 2. აუდიტორული საქმიანობის გეგმა

1. ფინანსური აუდიტები

ფინანსური აუდიტის მიზანია მიიღოს გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

ფინანსური აუდიტების შედეგად მიღებული ინფორმაცია აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მოხსენებაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური კანონით ვალდებულია წარუდგინოს პარლამენტს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშზე მოხსენება, მთავრობის მიერ ანგარიშის მომზადებიდან 50 დღეში (არა უგვიანეს 20 მაისისთვის).

აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს ფინანსური აუდიტის საქმიანობის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტისა და მხარჯავი დაწესებულებების 85%-იანი და მეტი დაფარვის უზრუნველყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შედეგად იგეგმება 2019 წლის დაფარვის მაჩვენებლის გაზრდა 2018 წლის 85%-დან 88.7%-მდე.

2019 წელს განსაზღვრულია 16 ფინანსური აუდიტის ჩატარება:

- 11 ფინანსური აუდიტი ცენტრალურ ბიუჯეტში;
- 1 ფინანსური აუდიტი აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტში;
- 4 ფინანსური აუდიტი აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტში.

ფინანსური აუდიტებით დაიფარება:

- ცენტრალური ბიუჯეტის 90%;
- აჭარის ა/რ-ის ბიუჯეტი – 100%-ით;
- აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტი – 59%-ით.

#	ბიუჯეტის დონე	დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი
1	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2018 წელი	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
2	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2018 წელი	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
3	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2018 წელი	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
4	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2018 წელი	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
5	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატი	2018 წელი	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
6	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატი	2018 წელი	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
7	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2018 წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

8	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	2018 წელი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
9	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2018 წელი	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
10	ცენტრალური ბიუჯეტი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2018 წელი	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
11	ცენტრალური ბიუჯეტი	სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელებული „ოჯახში ძალადობის შემცირების პროექტის“ 2018-2019 წლების ფინანსური აუდიტი	2018-2019 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
12	აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	2018 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
13	აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	2018 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
14	აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო	2018 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
15	აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	2018 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
16	აჭარის ა/რ ბიუჯეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი	2018 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახლებული მიდგომით პირველად მიმდინარე წლის დასრულებამდე დაიწყო 2018 ფისკალური წლის ფინანსური აუდიტების განხორციელება 4 სამინისტროში⁴. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტების განხორციელება უზრუნველყოფს აუდიტებით ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებლის ზრდას. ეს თავის მხრივ ხელს უწყობს ქვეყანაში მიმდინარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) რეფორმას.

⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. აღნიშნული ასევე განაპირობა ამ სამინისტროებში განხორციელებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა (სამინისტროების გაერთიანება).

2. უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტები

სისტემური შესაბამისობის აუდიტების ჩატარება აუდიტის სამსახურის ახალი მიმართულებაა, რაც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენას.

2019 წლის გეგმით განისაზღვრა 3 სისტემური (ჰორიზონტალური) შესაბამისობის აუდიტი:

#	დასახელება	აუდიტის პერიოდი
1	სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემური საკითხები*	2017-2018 წლები
2	სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხები*	2017 წელი
3	ხელშეკრულებების მართვის ჰორიზონტალური აუდიტი	2018 წელი

3. შესაბამისობის თემატური აუდიტები

შესაბამისობის აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის ოპერაციებისა და საქმიანობის შესაბამისობის შეფასება კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და საგრანტო მოთხოვნებთან და ორგანიზაციულ პოლიტიკებთან და პროცედურებთან. შესაბამისობის აუდიტი საშუალებას იძლევა ყურადღება გამახვილდეს უფრო მაღალი რისკის მატარებელ და აქტუალურ თემებზე.

2019 წლის აუდიტორული გეგმით განისაზღვრა 43 შესაბამისობის (თემატური) აუდიტის ჩატარება, აქედან:

- ცენტრალური ხელისუფლების დონეზე – 14 შესაბამისობის აუდიტი;
- აჭარის ა/რ-ში – 6 შესაბამისობის აუდიტი;
- აფხაზეთის ა/რ-ში – 5 შესაბამისობის აუდიტი;
- მუნიციპალიტეტებში – 18 შესაბამისობის აუდიტი.

#	დასახელება	აუდიტის პერიოდი	დეპარტამენტი
1	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
2	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების შესაბამისობის აუდიტი	2013-2018 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
3	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
4	ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
5	შპს ო. ჩხოზაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო	2015-2018 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

* აუდიტი წარმოადგენს გარდამავალი ტიპის აუდიტს, რომელიც დაიწყო 2018 წელს და დამთავრდება 2019 წელს.

	კლინიკური ცენტრის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი		
6	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი*	2014-2017 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
7	ა(ა)იპ – „საქართველოს რაგბის კავშირის“ მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2014-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი*	2014-2018 წლები	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
8	საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და საკალათბურთო კლუბ „ბასკონიას“ ფონდ „5+11“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი*		სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
9	სსიპ – საქპატენტის შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
10	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესაბამისობის აუდიტი*	2014-2017 წლები	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
11	აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის შესაბამისობის აუდიტი**	2015-2017 წლები	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
12	სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საინვესტიციო ვალდებულების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
13	შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი*	2017-2018 წლები	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
14	საერთო სასამართლოების აქტივების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
15	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი	2018 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
16	აღმოსავლეთ საქართველოში, ზემო აფხაზეთში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი	2018 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
17	შპს „ავტოტრანსსერვისის“ ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი	2015-2018 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

** აუდიტი წარმოადგენს გარდამავალი ტიპის აუდიტს, რომელიც დასრულდება 2020 წელს

18	შპს „დევენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ცხუმის“, შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ბიჭვინთის“ მიერ ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი	2015-2018 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
19	ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი	2015-2018 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
20	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი – საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა*	2016-2017 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
21	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა	2017-2018 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
22	ქ. ბათუმის მერიის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2016-2018 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
23	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2018 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
24	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2018 წელი	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
25	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივად მოქმედ საწარმოებში საწესდებო კაპიტალის ფორმირებისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
26	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
27	ასპინძის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
28	გორის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
29	დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
30	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
31	თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
32	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი

33	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
34	მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
35	მესტიის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
36	მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
37	სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
38	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
39	წალკის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
40	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
41	ხონის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
42	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
43	შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი

4. ეფექტიანობის აუდიტები

ეფექტიანობის აუდიტი თანამედროვე საჯარო სექტორის აუდიტის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფო მმართველობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტი მიზნად ისახავს შეაფასოს, რამდენად იქნა მიღწეული გადახდილი ფასის შესაბამისი ღირებულება. ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება ხელს უწყობს საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას, მათ მიზანმიმართულად და ეფექტიანად გამოყენებას.

2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 12 ეფექტიანობის აუდიტი, რაც მთლიანი აუდიტის რაოდენობის (90) 13%-ია.

2018-2022 წლების განვითარების სტრატეგიის მიხედვით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს ეტაპობრივად გაზარდოს ეფექტიანობის აუდიტის რაოდენობა. კერძოდ, ეფექტიანობის აუდიტის მიზნობრივი მაჩვენებელი 2019 წელს იქნება 24 აუდიტი, რაც 2019 წლისათვის განსაზღვრული მთლიანი აუდიტორული საქმიანობის (86 აუდიტის) 28%-ს მიაღწევს. 2018 წელთან შედარებით იზრდება

ეფექტიანობის აუდიტის, როგორც რაოდენობა (12-დან 24-მდე), ასევე წილი მთლიან აუდიტორულ გეგმაში (13%-დან 28%-მდე).

2019 წლის აუდიტის გეგმა ასევე მოიცავს სისტემურ ეფექტიანობის აუდიტებს, რაც საჯარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენას ისახავს მიზნად. კერძოდ:

- საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ღონისძიებები;
- საჯარო სექტორში IT პროექტების მართვა.

#	დასახელება	სფერო	დეპარტამენტი
1	მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების მართვის ეფექტიანობის აუდიტი*	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
2	თბილისის, ფოთის, ქუთაისისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების“ მართვის ეფექტიანობის აუდიტი*	განათლება	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი
3	აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი**	ეკონომიკური საქმიანობა	აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
4	უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
5	სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ეფექტიანობის აუდიტი	დასვენება და კულტურა	სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
6	სახელმწიფო ვალის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი
7	კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი	ეკონომიკური საქმიანობა	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
8	პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
9	2020 წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის რეფორმაში მიღწეული პროგრესის ეფექტიანობის აუდიტი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
10	საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული გზების მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია*	ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
11	„შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP)“ ეფექტიანობის აუდიტი	ეკონომიკური საქმიანობა	ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
12	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უძრავი ქონების მართვის ეფექტიანობის აუდიტი*	ეკონომიკური საქმიანობა	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
13	წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

14	სსიპ – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და სსიპ – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტი*	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
15	ტყის ხანძრებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი**	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
16	შშმ პირების ხელშეწყობა	სოციალური დაცვა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
17	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ღონისძიებები	ეკონომიკური საქმიანობა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
18	საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვა	ეკონომიკური საქმიანობა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
19	ქალაქ თბილისის განაშენიანების პროცესის მართვა*	ეკონომიკური საქმიანობა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
20	ქვეყანაში ანტიკორუფციული გარემოს უზრუნველყოფა*	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
21	სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემის აუდიტი*	სოციალური დაცვა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
22	სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
23	საჯარო სექტორში IT პროექტების მართვა**	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი
24	ტუბერკულოზის პრევენცია და მკურნალობა**	ჯანმრთელობის დაცვა	ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტი